

## ნობელის პრემია და ნობელიანტები

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	807
ლექსიკური რაოდენობა	ერთეულების 376
წინადადებებში სიტყვების საშუალო რაოდენობა	5
გვერდების რაოდენობა	15
კითხვის დონე:	მეთვრამეტე
ანოტაცია:	ინფორმაციული ტექსტი, რომელიც ნობელის შესახებ ინფორმაციას მრავალი კუთხიდან აწვდის მოსწავლეებს. წიგნში მოცემული ინფორმაცია ერთგვარ რუბრიკებადაა დაყოფილი, რაც საშუალებას იძლევა, თითოეულ ნაწილზე დამოუკიდებლად იმუშაონ მოსწავლეებმა და მოგვიანებით საკუთარი დასკვნები და მიგნებები გააკეთონ ტექსტის შინაარსზე.

**გაკვეთილის მიზანი:**

მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია ნობელის, მისი პრემიისა და ნობელიანტების შესახებ დაბალანსებული, რუბრიკებად დაყოფილი სტრუქტურის სახით. ტექსტი გათვლილია გაწაფული მკითხველის შესაძლებლობებზე და, შესაბამისად, მათ მოლოდინებზე.

**ტექსტის ამოცანებია:**

ფონეტიკური	ლექსიკური	გრამატიკული
სტოკჰოლმი - და არა სტოგჰოლმი. წვლილი - წვრილი, განსხვავება და ფონეტიკურად დაზუსტება ნობელიანტები - „ნობელანტები“, სმენითი ილუზია, როდესაც „ი“ იყლაპება	ახალი სიტყვები: ანდერძი, დაბეჯითებით, კიცხავდნენ. სპეციფიკური სიტყვები: დინამიტი; უცხოური ფუძიდან წარმოებული სიტყვები: პატენტი, პაციფისტი, კრიტიკოსი, კონფერენცია. იდიომატური გამოთქმა: „დიდი წვლილი შეიტანა“.	განსხვავება მძიმესა და წერტილ-მძიმეს შორის. (პრემიების გადანაწილების წესის შესახებ მონაკვეთის მიხედვით). „ნობელის ანდერძი“ - პირდაპირი ნათქვამი.

**გაგება/გააზრების ამოცანები**

ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები	ტექსტის რუბრიკების (თავების) დამოუკიდებლად გააზრება და მათი ლოგიკურად დაკავშირება საერთო აზრის გამოსატანად.
შინაარსობრივი მხარე	ტექსტში მოცემული უხვი მასალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და დამატებითი ინფორმაციის გამიჯვნა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, წინარე

	<p>ცოდნის გააქტიურება და ტექსტისშემდგომი ინფორმაციის ტიპის და შინაარსის მიღების სქემის ჩამოყალიბება.</p> <p>ცალკეულ და ტექსტში მოცემული ყველა მოვლენის კლასიფიკაცია ქრონოლოგიურად.</p>
<p><b>ჟანრობრივი მხარე</b></p>	<p>ინფორმაციული ტექსტი, სადაც ჩართულია პირდაპირი თხრობის, ბიოგრაფიული ინფორმაციისა და ნარატივის ელემენტები, რომელთა გამიჯვნა ამოცანად შეიძლება დაისახოს.</p>

**რესურსები:**

1. წიგნი - „ნობელის პრემია და ნობელიანტები“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა და პროექტორის ან ნეთბუკის გამოყენებით ჩვენება
2. დაფა, ცარცი.
3. ორგანიზატორები.

**საგაკვეთილო აქტივობები**

**I. ტექსტის წაკითხვამდე:**

მოსწავლეების წინარე ცოდნის გააქტიურება, სპეციფიკური ტერმინოლოგიის ახსნა კონტექსტში.

1. დაწერეთ დაფაზე სიტყვა: **პატენტი**. აუხსენით მოსწავლეებს, რომ არსებობს სამი ტიპის სიმდიდრე. სთხოვეთ მათ, ჩამოთვალონ, რა გამოხატავს, მათი აზრით, სიმდიდრეს. პასუხები ისრით დააკავშირეთ სიტყვასთან: „სიმდიდრე“. საბოლოოდ პატენტის ახსნისათვის, შემდეგი სიტყვის რუქა შექმენით მოსწავლეებთან ერთობლი-

ვად: სავარაუდო სიტყვები: პირველი ტიპის სიმდიდრე: ფული, ოქრო, სახლი; მეორე ტიპის სიმდიდრე: ოჯახი, მეგობრები, და-ძმა; მესამე ტიპის სიმდიდრე: ახალი ნაწარმოები, გამოგონება, ა.შ. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ადამიანებს ყველა სიმდიდრეზე საკუთრების უფლება აქვთ და რომ ისინი ცდილობენ ქონება დაიცვან. ამ ეტაპისათვის გადადით პირდაპირ მესამე ტიპის სიმდიდრეზე და დააკავშირეთ ისინი სიტყვებთან: „პატენტი“ – „გამოგონებასთან“, ხოლო, ნაწარმოები „საკუთრების უფლება“ და „გამოყენების უფლებასთან“, რომლებიც, თავის მხრივ, პატენტთან არის დაკავშირებული. აუხსენით მოსწავლეებს, რა მექანიზმები მუშაობს პატენტის შემთხვევაში მარტივი მაგალითებით, მაგ. „თუ გიორგი გამოიგონებს ტელევიზორს, რომელიც წყალში აჩვენებს და ამ ტელევიზორს გამოუშვებს „სამსუნი, მან ფული უნდა გადაუხადოს გიორგის მისი გამოგონებისათვის.“

2. სასურველია, რომ უცხო სიტყვებზე მუშაობა კითხვამდე ფაზაში დავასრულოთ და შესაძლებელია იმავე მეთოდის „სიტყვების რუკის“ ან „სიტყვათა ასოციაციის“ გამოყენება. „სიტყვათა ასოციაციის“ მიხედვით მუშაობა სასურველია, რომ მთელ კლასთან შედგეს და მოსწავლეებმა სიტყვასთან დამოკიდებულებით საკუთარი ცოდნა ერთმანეთს მყისიერად გაუზიარონ. „სიტყვათა ასოციაციები“ შეიძლება შემდეგ რუბრიკებს მოიცავდეს: ა. რას გაგონებთ? ბ. რა შეიძლება იყოს ამ სიტყვის ფუძე? გ. ფუძე რამდენიმე სიტყვისგან ხომ არ შედგება? დ. სინონიმები/ანტონიმები; ე. კონტექსტში მოხმარება.

3. სთხოვეთ მოსწავლეებს, „დიდი წვლილი შეიტანა“ საკუთარი სიტყვებით გამოხატონ.

## მიმოხილვითი ნაწილი

1. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა გაუგიათ ნობელის შესახებ. ჰკითხეთ მათ, თუ იცინა ნობელის პრემიის რომელიმე მფლობელის შესახებ. აქვე ახსენით, რომ ის ადამიანები, რომლებმაც ნობელის პრემიით დაჯილდოვდნენ, ნობელიანტები არიან.

2. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ტექსტი, რომლის წაკითხვასაც ახლა ერთად აპირებენ, ნობელის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას აერთიანებს. აუხსენით მათ, რომ ეს ინფორმაცია ბევრია, მაგრამ საინტერესო.

## აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ ეტაპზე ჩუმად წაიკითხონ ტექსტი ეგრეთ წოდებული „სქიმინგის“ მეთოდით. სთხოვეთ მათ, გააკეთონ მოკლე ჩანაწერები თითო სიტყვით, რაც მათ უმნიშვნელოვანესი დეტალების გახსენებაში მიეხმარება. დამოუკიდებელი მუშაობისათვის მიეცით მათ გარკვეული დრო, მაგალითად, 10 წუთი.
2. კითხვის შემდგომ ეტაპზე სთხოვეთ მოსწავლეებს, ერთობლივ კითხვით აქტივობაში ჩაერთონ ისე, რომ კითხვის ესტაფეტაში ერთმანეთი არა თქვენი კარნახის, არამედ, ერთი, გარკვეული აზრის დასრულებისა და შემდგომის დაწყების პრინციპით ჩაანაცვლონ, თანაც ისე, რომ ერთმანეთს კითხვის პროცესში არ ჩაეჭრან... კითხვის ამგვარი პროცესი შეიძლება თავიდან კარგად არ აეწყოს, თუმცა, გაიმეორეთ ის მანამდე, სანამ მოსწავლეები არ გამოკვეთენ იმ ნაწილებს, სადაც აზრი სრულდება და ახალი იწყება და მაშინაც კი, თუ ორი ერთად გააგრძელებს შემდეგ მონაკვეთს, ერთმანეთს კითხვის პროცესი დაუთმონ. ამგვარ კითხვის პროცესში, ერთი მხრივ, იკვეთება ის მონაკვეთები, სადაც მოსწავლეები ერთგვარ „პარაგრაფულ“ აზროვნებას ავითარებენ და რომელიც მათ ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებზე მუშაობაში მიეხმარება.

---

## კითხვის შემდგომი აქტივობები

კითხვის შემდგომი ფაზა პირობითად შეიძლება დავყოთ მთლიან ტექსტსა და ტექსტის ცალკეულ ნაწილებზე მუშაობის ფაზებად. შესაბამისად, გაკვეთილის გეგმაში მოცემულია მხოლოდ გარკვეული რაოდენობის მეთოდები, რომელთა განვრცობა ან/და სხვა კონტექსტში გამოყენებაა შესაძლებელი.

## გააზრება

დავალება პირველი (რეფლექსია, ინფორმაციის კონცეპტუალური ჩარჩო)

1. ვთხოვთ მოსწავლეებს, მიუთითონ ტექსტის ის თავი, სადაც შესავალში დასმულ კითხვებზე კონკრეტული პასუხების გაცემული და დაწერონ 3 საკვანძო სიტყვა, რომელიც ყველაზე კარგად იძლევა პასუხს კითხვაზე.

**კითხვა 1:** ჩვენ ხშირად გვესმის ტელევიზორში და ვკითხულობთ გაზეთებსა და ჟურნალებში ადამიანების შესახებ, რომლებიც ნობელის პრემიის მფლობელები არიან. ამ ადამიანებს ნობელიანტებს უწოდებენ. რა გააკეთეს ამ ადამიანებმა განსაკუთრებული?

თავი: \_\_\_\_\_

3 საკვანძო სიტყვაა:

\_\_\_\_\_

**კითხვა 2:** რატომ არის ეს პრემია ძალიან მნიშვნელოვანი?

თავი: \_\_\_\_\_

3 საკვანძო სიტყვაა:

\_\_\_\_\_

**კითხვა 3:** ვინ იყო ნობელი?

თავი: \_\_\_\_\_

3 საკვანძო სიტყვაა:

\_\_\_\_\_

**კითხვა 4:** რატომ დააწესა მან პრემია?

თავი: \_\_\_\_\_

3 საკვანძო სიტყვაა:


\_\_\_\_\_

## დავალება 2: (ინფორმაციის კონცეპტუალიზაცია და კლასიფიკაცია)

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ახლა, როდესაც მათ მთელ ტექსტში მოუწიათ „წრიალი“ საჭირო ინფორმაციის მოსაგროვებლად, უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება ტექსტის კონკრეტული მიმართულებებით საინტერესო გახდა.

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღება გაამახვილონ არა ალფრედ ნობელსა და ნობელიანტებზე, არამედ, თავად პრემიაზე.
2. სთხოვეთ მოსწავლეებს, განალაგონ ინფორმაცია მოცემული ორგანიზატორის საშუალებით (აქ მოცემულია ერთი, კონკრეტული მონაკვეთის მაგალითი, რომლის განვრცობა სხვა მონაკვეთებზეცაა შესაძლებელი):


ნობელის პრემია ენიჭება შემდეგ დარგში:		ნობელის პრემია არ ენიჭება შემდეგ დარგში



კიდევ რა ვიცი ან საკითხის შესახებ?		
როდის ენიჭება პრემია?		
ვინ ანიჭებს პრემიას?		
ვის ენიჭება პრემია?		
პირველ ეტაპზე:	მეორე ეტაპზე:	ბოლო ეტაპზე:

3. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ამ თავში გადმოცემული ამბავი შედგება ზუსტი ინფორმაციისგან - ფაქტებისგან და დაუზუსტებელი ინფორმაციისგან - ვარაუდებისგან. სთხოვეთ მათ, დაასახელონ, სად არის გამოთქმული *ვარაუდი*.

შეყოვნების შემთხვევაში, მიანიშნეთ მათ, სად მოიძიონ გამოთქმული ვარაუდი. სთხოვეთ მათ, შეავსონ შემდეგი ორგანიზატორი:



4. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ტექსტში მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული ნობელიანტების შესახებ. ჰკითხეთ მათ, რომელ ნობელიანტებზეა განსაკუთრებით გამახვილებული ყურადღება. გამოათქმევინეთ მოსწავლეებს ვარაუდი: (1) რატომ არის ამ ნობელიანტებზე განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებული. (2) გამოათქმევინეთ მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრება, რატომ ამახვილებს ტექსტის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ქალ ნობელიანტებზე. (3) გამოათქმევინეთ მოსწავლეებს საკუთარი სურვილები, როგორ მოიქცეოდნენ ნობელის ადგილას ქალი ნობელიანტის კანდიდატების მიმართ: მაგ. არაფერს არ შეცვლიდნენ, თუ ცალკე პრემიას დააწესებდნენ და სთხოვეთ არგუმენტებით გაამყარონ საკუთარი მოსაზრებები. ახლა სთხოვეთ მოსწავლეებს, ინფორმაცია, რომელიც ქალი ნობელიანტების შესახებ მიიღეს, ორგანიზატორის მეშვეობით გაამყარონ:



## ნობელიანტი ქალები


სულ ნობელიანტი

ქალი:

ორჯერ:                      ყველაზე მეტი:                      გამორჩეული:

ნობელის პრემიის დარგები: კლასიფიკაცია

1. დეტალებზე მუშაობის კიდევ ერთი ეფექტური სავარჯიშო შეიძლება იყოს საგნების, მოვლენების, თვისებების კლასიფიკაცია. ამისათვის ნობელის პრემიის დეტალების კლასიფიკაციაა ნიმუშად მოტანილი.
2. ორგანიზატორის საშუალებით შეიძლება იმუშავოთ თითოეულ მოსწავლესთან, მოსწავლეთა წყვილთან, მცირე ჯგუფებად ან მთლიან კლასთან. ორგანიზატორი მოცემულია ქვემოთ. დავალების გაადვილებისათვის, ერთ-ერთი დარგი, რომელიც კიდევ დამატებით ინფორმაციულ დეტალებს შეიცავს, შეგიძლიათ მისცეთ მოსწავლეებს გახსნილი მაგალითის სახით.



### 3. გააზრება (სრულ ტექსტზე მუშაობა: გამოკვეთა და შეჯამება)


1. სთხოვეთ მოსწავლეებს, იმუშაონ იმის მერე, რაც მეტ-ნაკლებად სრულად მოახერხებენ ტექსტის დეტალების გააზრებასა და შესწავლას, იგივე ტექსტი მოკლედ, მთავარი სიტყვებისა და სხარტი ფრაზების საშუალებით აზრთა ხეზე გამოხატონ.

2. მუშაობის საწყის ეტაპზე მოსწავლეები მთელ ჯგუფად ტექსტის მთავარი იდეის ჩამოყალიბებაზე თქვენთან ერთად ამუშავეთ. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ტექსტის მთავარი იდეა ყველას მიერ გაზიარებულია და პირდაპირ შეუძლიათ დაფიდან გადაიტანონ საკუთარი ხის ტანზე.

3. იდეების ხეზე მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ამუშავეთ. აუხსენით მათ, გარდა იმისა, რომ დიდ ტოტებზე მთავარი აზრები უნდა იყოს გამოსახული, ხოლო მცირეებზე კი ის დამატებითი ინფორმაციები, რომლებიც ძირითად აზრებთან არის დაკავშირებული, გუნდური მუშაობა მათ ასევე დაეხმარება ამ იდეების მეტნაკლებად ლოგიკურ დაწყობაში.

## აზრთა ხე

ჩამოყალიბეთ შინაარსობრივი დეტალები ხის ტოტებზე.



**გააზრება (სრულ ტექსტზე მუშაობა: დასკვნების გამოტანა, საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება)**

1. საბოლოო დასკვნების გამოტანისათვის და საგანთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულად გააზრებისათვის, ტექსტზე მუშაობის საბოლოო ეტაპზე სასურველი იქნება მიმოხილვითი სავარჯიშოს შესრულება, რომელიც მოსწავლის მიერ მიღებული ინფორმაციის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და დამოკიდებულების არგუმენტების გამყარებას გულისხმობს.

2. ამისათვის კი დაყავით მოსწავლეები რამდენიმე ჯგუფად და დაურიგეთ მათ სხვადასხვა სამუშაო ფურცლები, სადაც ისინი, ჯგუფურად მუშაობის შედეგად, შემდეგ ინფორმაციას მომაზადებენ:

**ჯგუფი 1:**

ტექსტის რომელი ნაწილი იყო ყველაზე საინტერესო?	რატომ იყო ყველაზე საინტერესო?

**ჯგუფი 2:**

ტექსტის რომელ ნაწილში იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოცემული?	რატომ იყო ეს ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი?

**ჯგუფი 3:**

რის შესახებ მოგინდებოდათ მეტი ინფორმაციის გაგება მომავალში?	რატომ არის ამ ინფორმაციის გაგება თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?

**ჯგუფი 4:**

რომელი ინფორმაციაა, თქვენი აზრით, სრულიად ზედმეტი ტექსტში იმისათვის, რომ ნობელისა და ნობელიანტების შესახებ საკმარისი ინფორმაცია გქონდეთ?	რატომ გგონიათ, რომ ეს ინფორმაცია არ არის იმდენად მნიშვნელოვანი / რელევანტური?

3. აუხსენით მოსწავლეებს, რომ გუნდურად მუშაობის დროს ჯერ ერთმანეთს უნდა დაუსაბუთონ საკუთარი მოსაზრება და საბოლოო ვერსია შეთანხმების საფუძველზე უნდა ჩამოაყალიბონ.
4. დასვით ჯგუფებს შორის დარიგებული კითხვები და მიეცით მოსწავლეებს საშუალება ჯგუფში შეთანხმებული აზრი ხმამაღლა, მთელი კლასისთვის ჩამოაყალიბოს.
5. მიეცით კლასს საშუალება, თითოეულმა მოსწავლემ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება კონკრეტული ჯგუფის მოსაზრებაზე.

## საშინაო დავალება:

სთხოვეთ მოსწავლეებს, აირჩიონ რომელიმე ნობელიანტი და მის შესახებ ტექსტში მოცემული სტრუქტურის დახმარებით დაწერონ საინტერესო ინფორმაცია, რომელიც მოცულობით 2 გვერდს არ აღემატება.